

# სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №54  
2023 წლის 21 მარტი

ქ. თბილისი

„დიდი გაბარიტების და ტურბორეაქტიული ძრავების მქონე, საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ივლისის №152 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„დიდი გაბარიტების და ტურბორეაქტიული ძრავების მქონე, საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ივლისის №152 ბრძანებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 12/07/2022წ., სარეგისტრაციო კოდი: 310150000.54.066.016262) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „<sup>310</sup>“, „<sup>311</sup>“, „<sup>312</sup>“ და „<sup>313</sup>“ ქვეპუნქტები:

„<sup>310</sup>) საბაზისო აღჭურვილობის საჰაერო ხომალდი – სხ, რომელსაც გააჩნია ისეთი მინიმალური აღჭურვილობა, რომელიც აუცილებელია მოსალოდნელ პირობებში აფრენისათვის, დასაფრენად შესვლის და დაფრენისათვის;

„<sup>311</sup>) გაუმჯობესებული აღჭურვილობის საჰაერო ხომალდი – სხ, რომელსაც საბაზისო აღჭურვილობის სხ-ისგან განსხვავებით, გააჩნია დამატებითი აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა მოცემულ პირობებში აფრენისათვის, დასაფრენად შესვლის და დაფრენისათვის;

„<sup>312</sup>) საექსპლუატაციო კრედიტები – დამატებითი კრედიტები, რომელიც საშუალებას აძლევს გაუმჯობესებული აღჭურვილობის სხ-ს, გამოიყენოს აეროდრომის უფრო დაბალი საექსპლუატაციო მინიმუმი, ვიდრე იყენებს საბაზისო აღჭურვილობის სხ და რომელიც დაფუძნებულია გაუმჯობესებული აღჭურვილობის სხ-ის სისტემების ტექნიკურ მახასიათებლებზე, გარე ინფრასტრუქტურის გამოყენებით;

„<sup>313</sup>) მახასიათებლებზე დაფუძნებული აეროდრომის საექსპლუატაციო მინიმუმი (PBAOM) – საბაზისო აღჭურვილობის სხ-ისათვის მოცემულ პირობებში აფრენის, დასაფრენად შესვლისა და დაფრენისათვის გათვალისწინებული აეროდრომის საექსპლუატაციო მინიმუმზე უფრო დაბალი საექსპლუატაციო მინიმუმი.

**შენიშვნა:** 1. PBAOM განისაზღვრება სხ-ის და მიწისზედა ხელმისაწვდომი საშუალებების კომბინირებული შესაძლებლობის საფუძველზე. სახელმძღვანელო მასალა მოცემულია იკაოს Doc-ში 9365;

2. PBAOM შეიძლება დაფუძნებული იყოს საექსპლუატაციო კრედიტებზე;

3. PBAOM არ შემოიფარგლება მხოლოდ PBN-ით ფრენებით.”

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „<sup>310</sup>“ ქვეპუნქტი:

„<sup>310</sup>) RFFS - საავარიო-სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური.“



2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-2 პუნქტი:

„2. საჭირო ხომალდის ტიპის და ექსპლუატაციის სახეობიდან გამომდინარე, სავარაუდო ოპერირების აეროდრომზე ფრენების დაწყებამდე ექსპლუატანტმა უნდა შეაფასოს ფრენის უსაფრთხოების რისკი აეროდრომზე არსებული საავარიო-სამაშველო და სახანძრო საშუალებების გათვალისწინებით.“

3. წესის N1 დანართის მე-8 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) ავტომატური დაფრენის სისტემის HUD-ის ან ეკვივალენტური ინდიკატორების და EVS, SVS ან CVS-ის გამოყენება ასეთის არსებობის შემთხვევაში.“.

## **მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის  
სააგენტოს დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი

გივი დავითაშვილი

